პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
1 სექტემბერი
№ 203 (17548)
ფასი 2 კაპ.

ᲒᲣᲗᲘᲗᲚᲔᲓᲘ, ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ!

საქართველოს მეჩაიეთა წარმატება

როგორც რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საქართველოს მეჩაიეებმა 28 აგვისტოს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 400 ათასი ტონა ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

თავდადებული შრომით

ᲥᲣᲘᲒᲣᲚᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის მაჩვენებელთა დაფაზე მესამე უბნის გვირაბგამყვანის ე. გელაძის გვარის გასწვრივ გაჩნდა წარწერა: „პირადი ხუთწლედი შესრულებულია“. 625 გრძივი მეტრის სამთო გვირაბები — ასეთია მისი მაჩვენებელი — 1976 წლის შემდეგ.

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ პურაპროდუქტების საწარმოო კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა. ამ დროის მანძილზე კომბინატმა გამოუშვა 115 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. აქ გადაწყვეტეს ვადამდე შეიდი თვით ადრე შეასრულონ ხუთწლედის დავალება.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘ. (საკუთარი). [illegible] ლენინის ორდენი [illegible] ჯილდოს [illegible] სახურავისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში მათი დიდი როლის აღსანიშნავად და იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

მეტალურგთა ახალ კულტურის სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გულითადად მიულოცა მაგნიტოგორსკელებს სამატიო ჯილდო.

შემდეგ მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეარებილთა ტაშის გრიალში მაგნიტოგორსკის დროშას მიაბნია ლენინის ორდენი.

სხდომაზე გამოსულებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა, და მთავრობას, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მაგნიტოგორსკელთა ყველა თაობის შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღნიშნეს, რომ მაგნიტოგორსკის 50-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო გაზარდა ქალაქის მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფამ ვან დონგს, რომელიც მოსკოვში გაჩერდა ჰავანაში გზად მიმავალი, სადაც მონაწილეობას მიიღებს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VI კონფერენციაში.

სუბარის დროს, რომელმაც ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის საკითხები და ოროვე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები.

ᲡᲐᲙᲐᲐ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი 30 აგვისტოს კრემლში შეხვდა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ჰუნ სამორინს, რომელიც მოსკოვში იმყოფება ჰავანაში გზად მიმავალი.

ვულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის თანამშრომლობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მდგომარეობის შესახებ (საკდესი).

სწავლა, სწავლა და სწავლა...

ᲓᲦᲔᲡ 3738 მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ირიცხება საპირველკლასელ-ბავშვი და ცოდნისათვის ლაშქრად უხმობს ჭილონამდე მოსწავლეს, და ამ ლაშქრობის სარდლებსა და მეთაურებს — 77 ათას მასწავლებელს. მაგრამ ეს ციფრი სრულყოფილი არ იქნება, თუ მას გონების თვალით არ მივუმატებთ პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა მთელ ლაშქარს, იმათ, ვინც აქ სწავლობს და ვინც სასწავლის.

მოზეიმეთ კიდევ ერთი მთავარი ციფრი უნდა მივუმატოთ — არმია მშობლებისა, გულშემატკივრების და მეგობრებისა, იმათი არმია, ვინც დღენაადგ ზრუნავს და იღვწის სახალხო განათლებისათვის, ჩვენი ბავშვების, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის, მაშასადამე, ჩვენი ხვალინდელი დღისათვის. დღევანდელი სიხარული მთელ რესპუბლიკას მოიცავს.

მოსწავლემ, მასწავლებელმა, სტუდენტმა, პროფესორმა, დღეს შინაგანად დაძაბული, საქმიანი ზეიმის ვითარებაში სასწავლად და სასწავლებლად რომ შედის კლასსა თუ აუდიტორიაში, კარგად უნდა დაიხსომოს, რომ იგი სახელოვანი აღმავალი რესპუბლიკის შვილი და მსახური, კვლავაც შეიტანოს წვლილი მის აღმავლობაში, ისწავლოს და ასწავლოს, იშრომოს ამ აღმავალი რესპუბლიკის ღირსებათა დონეზე.

ჩვენმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის განვითარებაში და მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო მასშტაბის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე გავიდა; სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეიერსხედ გამარჯვა, მეექვსედ მიიღო გამარჯვებულის წოდეული დროშა, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღწევს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, ადამიანთა ურთიერთობაში ლენინური ნორმების აღდგენას. ასეთი რესპუბლიკის მაღალი ავტორიტეტის შესაფერი სწავლა და ქცევა თითოეულმა მოსწავლემ და სტუდენტმა თავის უსიერელეს მოვალეობად, პატივისა და ღირსების საქმედ უნდა გაიხადოს. მეათე ხუთწლედში განვლილი წლების წარმატებანი ხომ მათი მშობლების, უფროსი და-ძმების, მთელი ხალხის თავდადებული შრომის შედეგია.

ახალ სასწავლო წელს წინ უძღოდა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიმართვა მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, პედაგოგების, აღმზრდელების, დამრიგებლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მშობლებისადმი. აქ მოცემულია ნათელი სამოქმედო პროგრამა არა მარტო სასწავლო წლის, არამედ აგრეთვე მთელი ხანგრძლივი პერიოდისათვის, იგი შთაგონების წყაროა მოსწავლისა და სტუდენტისათვის; ეს არის დასაწყისი მასწავლებელთა კოლექტივების იმ რთული მუშაობისა, რომელსაც ისინი ეწევიან, რათა მოსწავლე ახალგაზრდობა დაეუფლოს სასკოლო საგნებს, პროფესიულ ოსტატობას. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დისციპლინებს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, რათა ყოველ ახალგაზრდა მოქალაქეს ჩაუნერგონ მაღალი მორალურ-პოლიტიკური კულტურა, გამოუმუშაონ წათელი კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

წლევანდელი სასწავლო წელი იწყება 3. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და სკკპ XXVI ყრილობისათვის ღირსეული შეხვედრის სამზადისით გამოწვეული საბჭოთა ადამიანების მზარდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის პირობებში. შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა უნდა იგრძნობოდეს სასწავლო დაწესებულებებშიც, სადაც კომუნიზმის მომავალი მშენებლები, მომავლის ღირსული მოქალაქენი იზრდებიან. „დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდობა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელ წყაროს, — ვკითხულობთ მიმართვაში, — მისი დებულებანი გაიხადოს მტკიცე მრწამსად...“

წლევანდელი სასწავლო წელი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მსოფლიო აღნიშნავს ბავშვის საერთაშორისო წელიწადს, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და რესპუბლიკაში აღსავსეა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებით ბავშვთა ცხოვრებისა და სწავლის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს მრავალეროვნულ რესპუბლიკაში ყველა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა ისწავლონ მშობლიური ენაზე. ხალხთა მეგობრობის ამ მზიურ რესპუბლიკაში ბავშვები სწავლობენ ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ გამოქვეყნდა მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და მშობლიური ენის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას, რაც ხალხთა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების კიდევ ერთი, ნათელი დადასტურებაა: საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რესპუბლიკაში უმაღლესი აყვავებას მიაღწია ქართულმა ენამ, აფხაზურმა და ოსურმა ენებმა, ძირითად მოსახლეთა ენებმა, ხოლო რუსულ ენას საქართველოში ყოველი მისი მცხოვრები თავის მეორე მშობლიურ ენად ფლობს, როგორც ხალხთა ძმობის, მეგობრობის ენას, ეროვნებათა ურთიერთობის ენას. საქართველოში სკოლები მოსწავლე ახალგაზრდობას ზრდიან ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, უთქვამს ხალხს, მაგრამ დედაენის ცოდნა ყველა ცოდნის საფუძველთა საფუძველია. არასოდეს ისე არ უზრუნიათ ქართული ენისათვის, როგორც დღეს ზრუნავენ. რესპუბლიკის პარტია და მთავრობა დღენიადაგ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ქართული ენის სიწმინდის, სკოლებსა და სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დამატებითს ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რუსული ენის სწავლებისა და შესწავლის გაუმჯობესებისათვის, ამუშავებს შემდგომ პროგრამას, რომლის მიზანია მეცნიერულ საფუძველზე გარდაქმნას რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლის მთელი საქმე. კერძოდ, გადაწყდა, გაისად განხილულ იქნეს საკითხი — „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის ფაობაზე“.

დიდად ნაყოფიერი გამოდგა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით ამას წინათ გამართული მასწავლებელთა ტრადიციული ავგუსტოს თათბირები, რომლის დღის წესრიგის პირველ საკითხად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებული იყო იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა სახალხო განათლების ორგანოებში „იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საუფველზე. დიდი პედსაბჭოს რეკომენდაციებმა ხელი უნდა შეუწყოს სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას.

ახალი სასწავლო წელი ძალაში შედის.

ბილოცავთ, მეგობრებო, 1 სექტემბერს!

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲡᲐ



ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს. სამშობლოს მაღალი ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. კ. ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘ, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, მ. ს. გორბაჩოვი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი და ა. ი. ბლატოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე.

ჯილდოს გადაცემის დროს გამოვიდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲥᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲕᲐ

ძვირფასო იური ვლადიმერის ძევ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით, მიიღო ბრძანებულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით შენი დაჯილდოების შესახებ. და მე გულწრფელად ვმაყოფილი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა დღეს გადმოგცე ეს დამსახურებული ჯილდო ჩვენი ამხანაგებისა და კოლეგების — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატობადი და მუშაობ როგორც უაღრესად პატიოსანი და თავდადებული მშრომელი, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანი, უნარიანი ორგანიზატორი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი, და უწინარეს ყოვლისა როგორც მტკიცე კომუნისტი, ლენინური პარტიის საქმის, ჩვენი კომუნისტური მშენებლობის მაღალი მიზნების უსაზღვროდ ერთგული.

დღევანდელ შენს მოღვაწეობაში ამას, მე ვიტყოდი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენს პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ მტრის ხრიკებისაგან სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროების დაცვის ბასრი იარაღი სუფთა და უმწიკვლო ხელში იყოს.

იური ვლადიმერის ძეო, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში შენი ყოფნის დროს ყველამ კარგად გაგიცანით, როგორც ჩინებული მუშაკი და ადამიანი, გაფასებთ და გვიყვარხართ. და, რა თქმა უნდა, ყველას გვიხარია ეს დაჯილდოება, გულითადად გილოცავთ და სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და ახალ წარმატებებს პასუხსაგებ საქმეში. რომელიც პარტიამ და ხალხმა მოგანდვეს.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲡᲢᲘᲥᲣᲚᲘ წარმოთქვა ᲐᲛᲮ. Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲛᲐ.

Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲕᲐ

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო!
ძვირფასო ამხანაგებო!

ჩემთვის დიდი პატივი და დიდი სიხარულია ლეონიდ ილიას ძის ხელით მივიღო ორდენი, რომელსაც ჭვრა დიდი ოქტომბრის რევოლუციის — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა იმ ძლევამოსილი რევოლუციის სახელი, დასაბამი რომ მისცა კომუნისტურ აკადემიის გადასვლას.

მე მესმის, რომ ეს ორდენი არა მარტო სიმბოლოურად გამოხატავს ოქტომბრის დიად რევოლუციურ იდეალებსა და მის ჰუმანისტურ იდეალებს, არამედ ერთგვარად მოაგონებს ყველას, და უწინაროეს ყოველისა იმათ, ვისაც ეს ორდენი ენიჭება, იმის საჭიროებას, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ, დაიცვნენ, ამრავლონ ჩვენი რევოლუციის მონაპოვრები, ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკ-ლენინელთა მიერ დამკვიდრებული სახელოვანი ტრადიციები.

აი უკვე ექვს ათწლეულზე მეტია ჩვენი ქვეყანა მიდის უტიკერვალოშვილი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი მ. კ. მაღრაძე, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ი. ხაზარაძე, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ვ. მინდელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ლ. ნ. ოკლეი, საქართველოს სახმომარაგების უფროსი ა. ი. ბუაძე, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორი ა. ვ. ხუროძე.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მომხსენებელმა და თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმდინარე, განსაკუთრებით კი მეთერთმეტე ხუთწლედში, როცა მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოების მასშტაბი, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მაქსიმალური გამოყენების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, უნარჩენო წარმოების ორგანიზაციის საკითხს. საქართველოში ნედლეულის რესურსების მომჭირნეობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, რადგან მრეწველობის ყველა დარგი, გარდა კვების მრეწველობისა და, ნაწილობრივ მეტალურგიული მრეწველობის დარგებისა, მუშაობენ შემოტანილი ნედლეულითა და მასალებით, რაც ძვირი ჯდება. სამეურნეო, შრომითი კოლექტივების ვალია მომჭირნედ ხარჯონ თითოეული გრამი ლითონი, ქიმიური ნედლეული, მატყული, ბამბა, ქვანახშირი, ნავთობი და სხვა პროდუქცია.

სულ უფრო გრძელდება ნედლეულის, მასალების, სათბობის გადაზიდვის, ენერგიის მიწოდების მარშრუტები. ყოველივე ეს ობიექტურად იწვევს ნედლეულითა და მასალებით წარმოების უზრუნველყოფის დამატებითი რეზერვების გამოვლენის საჭიროებას.

მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვას ხელს შეუწყობს აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა. მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის განვითარების თანამედროვე დონე. სამეურნეო, შრომითი კოლექტივებს ეალბა, ეფექტურად გამოიყენონ ადგილობრივი ნედლეული, ადგილობრივ ენერგეტიკული ბაზა, ადგილობრივ ტრანსპორტი, ადგილობრივ ადამიანური ძალა. ეს ეხება ადგილობრივ ინიციატივასა, ადგილობრივ ინიციატივასა, ადგილობრივ ინიციატივასა,

დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

(დასასრული)

ბის, დადამუშავებისა და გამაღლების საწარმოო გაერთიანების საქმიანობის მასშტაბი შეზღუდულია, რომ უკანასკნელ წლებამდე მეორეული რესურსების გამოყენების საკითხებს რესპუბლიკაში თითქმის ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში არის მიღებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომელთა მიზანია წარმოების ნარჩენების მეორეული გამოყენება. ამ დადგენილებათაგან აღსანიშნავია ფეროშენადნობთა წარმოებაში საქართველოს ნაკაროზი სუსტცხობადი ქვანახშირის საბადოთა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში წარმოების ნარჩენების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა, ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობის ნარჩენების გამოყენების შესახებ და სხვ.

თათბირზე მოიყვანეს საინტერესო მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩაის მშრალი კონცენტრატების წარმოება ჩაის რესურსების გადიდების, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, საღებავების დამზადების პრობლემის გადაწყვეტისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. 1978 წელს ყურძნის სამრეწველო გადამუშავებამ 564 ათას ტონას მიაღწია. ჭაჭის სახით მიღებულია 80 ათასი ტონა მეორეული ნედლეული, 5,5 მილიონი დეკალტრი ღვინის საფუარი 3,8 მილიონი ტონა კონიაკის ბუყი და სხვ. ამ ნარჩენების გადამუშავება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვანი რაოდენობით მივიღოთ მაღალხარისხოვანი საკვები მეცხოველეობისათვის, მატონიზებელი უალკოჰოლო სასმელები, სამკურნალო პრეპარატები, ორგანული მჟავები. ცილები, საღებავები, ფერმენტები და ბევრი რამ სხვა. სახალხო მეურნეობა ამით მეტად საგრძნობ მოგებას მიიღებს.

არის გარკვეული მიღწევები მსუბუქი, ხე-ტყისა და ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე სხვა დარგების მრეწველობის ნარჩენების გამოყენებაში.

დღევანდელობის მწვავე მოთხოვნებს დიდ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტები. საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მაგალითად, დაამთავრა ბამბის ნართისა და მატყლსართავ წარმოებათა ნარჩენების გამოყენებისათვის კომპლექსური მოწყობილობის ტექნოლოგიის შემუშავება და შექმნა, ამჟამად სწავლობს ახალ სახეობათა ქიმიური ბოჭკოების გამოყენებით ბამბის სართავი წარმოების ნარჩენების ტექნოლოგიური გადამუშავების შესაძლებლობებს.

კვების მრეწველობის ნარჩენების გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტთან ერთად. ეს მუშაობა დაედო საფუძვლად ჩაის ნარჩენებისაგან მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტების წარმოების ორგანიზაციას. ნაყოფიერად მუშაობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მთელი რიგი კათედრების მეცნიერები.

ამრიგად, რესპუბლიკაში მიმდინარეობს წარმოების ნარჩენების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიება. არის გარკვეული ძვრები, მიღწევები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ვერ ვუწოდებთ მასშტაბურს. განსაკუთრებით ბევრი გამოუყენებელი რეზერვია ისეთ დარგებში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა და მშენებლობა.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ხშირად საყურადღებო ნაშრომების შექმნა და მეცნიერული კვლევა არ წარმოებს ერთიანი გეგმით. ამის შედეგად საინტერესო მეცნიერული იდეები ქაღალდზე რჩება და პრაქტიკულ გამოყენებას ვერ პოულობს.

მოგვარებული არ არის მეორეული რესურსების გამოვლენისათვის, აღრიცხვის, დახარისხების, დაცვა-შენახვისა და გამოყენებისათვის მუშაობა. ამის შედეგია, რომ მეორეული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ხმარდება სახალხო მეურნეობას და აპუჩყიანებს გარემოს.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის მართვის ბევრი რგოლის მუშაობაზე. უნდა მოეწყოს გამოფენები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება მრეწველობის ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის უტილიზაციის საკითხებს. უნდა გაჟღერდეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმის პროპაგანდისათვის, როგორიც არის მეორეული რესურსებისა და წარმოების ნარჩენების გამოყენება. (საქინფორმი).

კონსტანტინე მიხეილის ძე სიმონოვი



1979 წლის 28 აგვისტოს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კონსტანტინე (კირილე) მიხეილის ძე სიმონოვი. საბჭოთა ლიტერატურამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

კ. მ. სიმონოვი დაიბადა 1915 წლის 28 ნოემბერს ქალაქ ლენინგრადში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. კ. მ. სიმონოვის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება დაკავშირებული იყო სოციალისტური სამშობლოს დაცვის თემასთან. მისი ადრეული ლექსები, ისტორიული პოემები „ბრძოლა ყინულზე", „სუვოროვი" ჩვენი ხალხის მხედრულ მამაცობასა და გმირობას მიეძღვნა.

ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დამთავრების ერთი წლის შემდეგ კ. მ. სიმონოვი მონაწილეობს ხალხინ-გოლის ამბებში, ხოლო დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან მან მოქმედი არმიის რიგებში როგორც კორესპონდენტმა ჭარისკაცის მთელი ძნელი და ვაჟკაცური გზა განვლო. მისი მკაფიო ფრონტული კორესპონდენციები მხურვალე გამოხმაურებას პოულობდა საბჭოთა ადამიანების გულში. კ. მ. სიმონოვის ნაწარმოებები და განსაკუთრებით ისეთნი, როგორიც არის ლექსი „მელოდი", პიესა „რუსი ადამიანები", მოთხრობა „დღეები და ღამეები", საგმირო საქმეებისათვის შთაგონებდნენ და გამარჯვების ურყევ რწმენას ულვივებდნენ საბჭოთა ადამიანებს.

პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი კ. მ. სიმონოვი ქმნის საბჭოთა ადამიანების მკაფიო და ღრმაშინაარსიან სახეებს, თვალწინ გვიშლის ფაშიზმთან ბრძოლაში ხალხის გმირობის მკაცრ და ამაღლებულ სიმართლეს. დიდად პოპულარული გახდა მისი ტრილოგია „ცოცხლები და მკვდრები" და მის მიერ შექმნილი კინოსურათები და სატელევიზიო ფილმები.

მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი მისი წიგნები საზღვარგარეთელ მკითხველებს აცნობენ საბჭოთა ადამიანს, საბჭოთა ცხოვრების წესს, ჩვენი ხალხის სახელოვან ისტორიასა და დღევანდელობას.

კ. მ. სიმონოვი წლების მანძილზე მეთაურობდა „ლიტერატურნაია გაზეტას", და უურნალ „ნოვი მირს", იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი და დიდი ენერგიით, ინიციატივით, პარტიული მიზანსწრაფვითა და მგზნებარებით მუშაობდა. იგი ბევრ ძალ-ღონეს ახმარდა მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს, ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა მშვიდობიანი ცხოვრებისა და მეგობრობის ხელშეშლის ნებისმიერ ფორმას. ... [illegible] ... მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მნიშვნელოვანია მწერლის წვლილი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ლიტერატორთა მეგობარი და დამრიგებელი, აქტიურად უწყობდა ხელს იმას, რომ საკავშირო მკითხველი ზიარებოდა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების მხატვრულ მიღწევებს.

კ. მ. სიმონოვი სხვადასხვა დროს არჩეული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს კ. მ. სიმონოვის ღვაწლი და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს. იგი დაჯილდოებული იყო სამი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით, ორი პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით, „სიპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით. კ. მ. სიმონოვს მინიჭებული ჰქონდა ლენინური და ექვსი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

მგზნებარე პატრიოტი კომუნისტი, სოციალისტური საზოგადოების შთამაგონებელი ხელოვანი კ. მ. სიმონოვი სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში. მისი წიგნები კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

პარტიული ცხოვრება

შევაჯამოთ, გავიაზროთ, დავსახოთ

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში დადგა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — იწყება და წლის ბოლომდე გაგრძელდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

საანგარიშო-საარჩევნო კრება ყველაზე დიდი მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაში. იგი მათ საშუალებას აძლევს უფრო ღრმად გააანალიზონ შეძენილი გამოცდილება, გამოავლინონ ნაკლოვანებები, განსაზღვრონ ახალ ამოცანათა გადაწყვეტის ყველაზე ქმედითი საშუალებანი.

წლეულნდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს. იგი ეწყობა დიდი შრომის, შენების, შემოქმედებითი ძიების დროს, როცა მოაწყობულია ხუთწლედის ფინიში და კომუნისტთა მთელი საზრუნავი თავს დასტრიალებს ხუთწლედის დარჩენილ დროს, რამაც უნდა დაადგირო

რესპუბლიკა მიუჯდა მერხებს

სწავლა მოსწავლეთა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მილიონზე მეტი მოსწავლე მიუსხდება დღეს მერხებს. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ა. ლომაძე დღეს უპასუხებს ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებულ ზოგიერთ კითხვაზე.

კითხვა: **გვიამბეთ მომავალი სასწავლო წლის ძირითადი ნიშნების შესახებ.**

პასუხი: ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფას. შევაიარაღოთ მოზარდი თაობა „ისტორიული სიმართლის უძლეველი იარაღით, საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და პერსპექტივების ღრმა გაგებით“ — ამას მოგვაგონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე, — ასეთია სახალხო განათლების დარგში მოქმედების პროგრამა, რომელიც დადგესახეს სკკპ XXV ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებებმა.

ძირითადი საკითხი იყო, არის და იქნება საკითხი სწავლების ხარისხის შესახებ, ამისათვის დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების ახალი პროგრამების, სწავლების თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა, კაბინეტების უნარიანი გამოყენება.

1979 წლის 7 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენის სწავლებისა და შესწავლის გაუმჯობესების შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პარტიის მიაჩნია მოქალაქეობრიობის გაკვეთილებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი რესპუბლიკის ხალხთა მშური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას.

ვალაინდებურად მნიშვნელოვანი ამოცანაა რუსული ენის, ერთა შორის ურთიერთობისა და მეგობრობის ენის შესწავლის შემდგომი სრულყოფა.

კითხვა: რა გაკეთდა მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის შემდგომი დახვეწის, კადრების განმტკიცებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის?

პასუხი: მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის იდეურ სიმწიფეს და პროფესიულ ოსტატობაზე, ბავშვებისადმი სიყვარულსა და მოსწავლეთა ბედისათვის ფიზიკურ პასუხისმგებლობაზე. აი რატომ უნდა მიაქციოს საზოგადოებრიობამ განსაკუთრებული ყურადღება სკოლის პედაგოგებს, მათი მუშაობის, დასვენების, თვითგანათლების პირობებს. ეს სასწავლო წელი რომ განათლების სარბიელზე ახალ წარმატებათა წელი გახდეს, დღენიადაგ ვზრუნავთ იმისათვის, რომ პედაგოგთა კადრები განვამტკიცოთ დიდად განათლებული, იდეურად მომზადებული და პოლიტიკურად გამოწრთობილი ადამიანებით, ავამაღლოთ მათი მეთოდიკური ოსტატობა. რესპუბლიკის მასწავლებელთა 77-ათასიან რაზმს, რომელთაგან დიდი უმრავლესობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისაა, წელს 1450 ახალგაზრდა პედაგოგი შეემატა. აღსანიშნავია, რომ აქედან 800 თავიანთ შობლიურ სოფლებში სამუშაოდ გავგზავნეთ. 12 ათასმა პედაგოგმა გაიარა გადასამზადებელი კურსები. მუშაობა გაუმჯობესეს რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და მისმა ფილიალებმა. მოეწყო კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა ორკვირიანი შეკრება, გაიმართა მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელთა ზონალური თათბირები მასწავლებლებისა, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული მოსწავლის ჰუმანიტარული განათლება და პოლიტიკური მომზადება.

სასკოლო კოლექტივების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის მნიშვნელოვანი სტიმულია მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები.

კითხვა: რა განვითარება ჰპოვა რესპუბლიკაში სასკოლო-სასწავლო კომბინატებმა?

პასუხი: რესპუბლიკაში 20 სასწავლო-საწარმოო კომბინატია, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისად მიგვაჩნია. მათ შექმნას უწინარეს ყოვლისა სჭირდება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მთელმა რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა თერჯოლის რაიონის თაოსნობას სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზუგდიდის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ინიციატივა, რომლებმაც გვიჩვენეს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ზრუნვა სასკოლო საქმისათვის, მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

აფხაზეთის სოფელ ჩლოუსა და საკურორტო დაბა ბიჭვინთის მოსწავლეებს პირველ სექტემბერს ორმაგი დღესასწაული ელებათ, — თქვა საუბარში აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა თამარ ივანეს ასულმა კოღონიამ. — ახალ სასწავლო წელს ხომ ათასობით გოგონა და ბიჭუნა დაიწყებს ახალ სკოლებში. ისინი იმეცადინებენ ვრცელ, ნათელ საკლასო ოთახებში ერთ ცვლად, ხოლო პატარები, რომელთა შობლები დიდხანს არიან დაკავებული სამუშაოზე, ივლიან გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში.

მიმდინარე წელი აფხაზეთში სასკოლო მშენებლობის ფართო პროგრამის შესრულების დასაწყისია. პროგრამა 7 წელს მოიცავს. ამ ხნის მანძილზე უნდა აიგოს ახალი სკოლები 10 ათასი მოსწავლისათვის. სახელმწიფო არ ზოგავს სახსრებს სახალხო განათლებისათვის: თუ მთელი მეცხრე ხუთწლედის მანძილზე „სკოლების მშენებლობას ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხმარდა 5360 ათასი მანეთი, მეათე ხუთწლედის სამ წელიწად-ნახევარში უკვე

აფხაზეთი:

ორმაგი დღესასწაული

დახარჯულია თითქმის ორი მილიონი მანეთით მეტი.

აფხაზეთის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების შესაბამისად გამომცემლობა „ალაშარის“ მიერ სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის წლიური მოცულობა გაიზარდა. ამის შედეგად აფხაზეთის სკოლები სავსებით უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გაერთიანებული მეცადინეობით უმჯობესდება აფხაზური და რუსული ენებისა და ლიტერატურების პროგრამები და სასწავლო-მეთოდიკური სახელმძღვანელოები. გამოიცა დაწყებითი სკოლებისათვის აფხაზური ენის ახალი პროგრამა. გამოვიდა აფხაზური ენის სახელმძღვანელო არააფხაზური სკოლებისათვის.

საქართველოს განათლების სამინისტრო ჩვენთან ერთად გამოსაცემად ამზადებს აფხაზური ლიტერატურის სახელმძღვანელოების ბეჭრით დამატებებს.

დიდ იმედებს ვამყარებთ ახალ პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაზე“, რომელიც აფხაზურ ენაზე გამოდის და რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ლიტერატურული საკითხების მეცნიერული დამუშავებასა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებაში.

ცნობილია, რომ დიდ ეფექტს აღწევენ ის სკოლები, სადაც სწავლება ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან. ამ მიმართულებით კარგი შედეგი აქვს გულრიფშის სასწავლო-საწარმოო კომბინატს, წელს ასეთი კომბინატი სოხუმშიც გაიხსნება. ასეთი კომბინატები უნდა შეიქმნას თითოეულ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ გაუმჯობესდეს მოსწავლეთა მომზადება შრომისათვის, მუშაობა მათი პროფესიული ორიენტაციისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 7 აგვისტოს დადგენილება აფხაზურ და ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენის სწავლებისა და შესწავლის გაუმჯობესების შესახებ ხელს შეუწყობს აფხაზეთის სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემდგომ გაუმჯობესებას.

● ●

პედაგოგთა დიდი საგჯო

სკოლის აქტიუალური ამოცანების განხილვა გახდა მთავარი შინაარსი მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებისა, რომლებიც ტრადიციისამებრ სასწავლო წლის დაწყების წინ გაიმართა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში.

მასწავლებელთა დიდი თათბირის მონაწილეებმა შეაჯამეს 1978-1979 სასწავლო წლის შედეგები, დასახეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები.

მოხსენებებსა და გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო პედაგოგიური კოლექტივების მუშაობას იმ თვალსაზრისით, რომ ხარისხობრივად გააუმჯობესონ ეროვნულ სკოლებში მშობლიური ენის შესწავლა და სწავლება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული და სომხური ენების სწავლებისა და შესწავლის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად.

კონფერენციების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხების ეროვნულ ურთიერთობათა და ხალხთა მეგობრობის ენის სწავლების შემდგომი სრულყოფის საკითხები, ურომლისოდაც შეუძლებელია ვეზიაროთ სამამულო და მსოფლიო კულტურას. დიდი ადგილი დაეთმო საყოველთაო სწავლებისათვის ზრუნვას, სწავლა-აღზრდის პროცესს, სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის ურთიერთკავშირს.

დღეს აპრილის 412 სკოლაში მერხებს მიუსხდება 76 ათასზე მეტი მოსწავლე. პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულება მათი სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საკითხში, რომელიც წამოყენებულია „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ბევრადაა დამოკიდებული განათლების ქსელის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, სკოლების დროულ მშენებლობაზე, უახლესი მოწყობილობით კაბინეტებისა და ლაბორატორიების აღჭურვაზე, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით, დამხმარე ლიტერატურით, შრომითი აღზრდის მასალებით უზრუნველყოფასა და, რა თქმა უნდა, სკოლების პედაგოგთა კოლექტივების სწორ დაკომპლექტებაზე.

იმის შესახებ, თუ როგორ წყდება ეს პრობლემები აჭარაში, გვესაუბრება აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. ? წულუკიძე.

— წელს კაპიტალური დაბანდების ხარჯზე აჭარაში 15 შენობა იგება სკოლებისა და სკოლასთან არსებული ინტერნატებისათვის. გარდა ამისა, ინიციატივიანი მშენებლობის გზით იგება ოთხი სკოლა — სამი ქობულეთის და ერთი ხელვაჩაურის რაიონებში.

სოფლის სკოლების მშენებლობა, რომელსაც კოლეგიურნეობები ინიციატივიანი მეთოდით აგებენ, კარგად მიმდინარეობს. პირველ სექტემბერს სტუმართმოყვარულად გაუღებს კარს მოსწავლეებს ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის ახალი საშუალო სკოლა. სწრაფად შენდება ამავე რაიონის სოფელ ბობოყვა თში მესამე სკოლის შენობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლების ამგები ყველაზე დიდი მოჯარეები — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. . რიგვავას მოხსენება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მუშათა კადრების მომზადების გაუმჯობესების ამოცანები“.

აჭარა:

76 ათასზე მეტი

საერთო სამშენებლო ტრესტი და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 45 მოძრავი მექანიზებული კოლონა ივიწყიებენ დიდი ხნის კარგ ტრადიციას — სკოლასადმი ყურადღებას. ძლიერ გაჭიანურდა სკოლების მშენებლობა ქედისა და ხულოს რაიონულ ცენტრებში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიაში, ხულოს რაიონის სოფელ აგარაში. ჯერ კიდევ შაარშნ უნდა გადაეცეთ საექსპლოატაციოდ ქობულეთის № 5 საშუალო სკოლა, მაგრამ დღემდე იგი სამშენებლო მოედანს წარმოადგენს, სადაც მოსაპირკეთებელი სამუშაოები გრძელდება.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლების სასწავლო-საწარმოო კომბინატები. პირველი ასეთი კომბინატი შეიქმნა ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში. უთუოდ უნდა გაიხსნას სასკოლო კომბინატები ბათუმში და ხელვაჩაურის რაიონში.

წელს აჭარის სახალხო განათლების ორგანოებმა წინასწარ იზრუნეს სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფისათვის და კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს პრობლემა გადაჭრილია.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკომპლექტებისათვის. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და საქართველოს სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა აჭარის სკოლებში სამუშაოდ გაგზავნეს 138 თავისი კურსდამთავრებული. ეს ავტონომიური რესპუბლიკის პედაგოგთა მრავალათასიანი რაზმის კარგი შევსებაა. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ხულოსა და შუახევის მაღალმთიანი რაიონების სკოლებისათვის.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მუშათა კადრების მომზადების გაუმჯობესების ამოცანები“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებაში და ჩვენი ქვეყნის მოწინავე სისტემათა შორის ჩადგა. წარმატებით გადაიჭრა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა: ვადამდე დამთავრდა თვისებრივად ახალ საფეხურზე — მხოლოდ საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშების მომზადებაზე გადასვლა.

1 სექტემბერს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მერხებს პირველად მიუსხდება 36 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მომავალი მუშების სწავლების ხარისხის, შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის საჭიროა გამოცდილი სპეციალისტებით შეიარაღოს მასწავლებლებისა და საწარმოო სწავლების ოსტატთა კადრები. შემდგომ უნდა განმტკიცდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა აკადემიური წარმატებისათვის, მოსწავლეთა პროფესიული განათლების გაუმჯობესებისათვის.

ახალ სასწავლო წელს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას, აქტიურად ჩაკუნარგოთ მოსწავლეებს მაღალი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებები, პროფესიისადმი სიყვარული, მისწრაფება პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ცოდნის დონის ამაღლება, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფა, მაღალი კვალიფიკაციის მუშების მომზადება საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშათა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

სამხრეთ ოსეთი:

მაღლიერების გრძნობით

სამხრეთ ოსეთის სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა იზრუნეს, რათა ბავშვების მისაღებად მოემზადებინათ სასკოლო შენობები. ზოგხულის არდადეგების დროს კაპიტალურად შეკეთდა 47 რვაწლიანი და საშუალო სკოლების შენობა, ცხინვალის რაიონის ერედვის რვაწლიანი სკოლის, ზნაურის რაიონის მუგუთისა და ჯავის საშუალო სკოლების მოსწავლეები იმეცადინებენ ახალ, ნათელ და მყუდრო შენობებში. ბევრი სკოლის შენობას მიმდინარე რემონტი გაუკეთდა, სასკოლო ინვენტარი შეკეთდა პედაგოგებისა და უფროსკლასელთა ძალებით, — გვატყობინებს საოლქო საბჭოს აღძასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ი. ძაგოევი.

ოლქის სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ინვენტარით. ისინი დაკომპლექტებულია პედაგოგთა კადრებით. პირველ სექტემბერს სკოლაში შევა 44 ახალგაზრდა სპეციალისტი.

უფროსი კლასების 3700-ზე მეტი მოსწავლე ზაფხულის არდადეგების დროს გაერთიანებული იყო შრომისა და დასვენების 133 კოლექტივში.

სასოფლო სკოლებისა და ოლქის სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელები ამთავრებენ სათბობის შემოზიდვას. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველა წანამძღვარი, რათა სამხრეთ ოსეთის სკოლებმა ორგანიზებულად დაიწყონ ახალი სასწავლო წელი. სწავლაში წარმატებას ხელს შეუწყობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ზრუნვა რესპუბლიკის სკოლებში მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის. მშობლიური ენა ხომ პირველი მეცნიერებაა, რომელსაც ყმაწვილი ეუფლება, როცა პირველ ნაბიჯებს დგამს ცხოვრების გზაზე.

საქართველოში ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარება. სამხრეთ ოსეთის მშრომელები მადლიერების გრძნობით აღიქვამენ საქართველოს პარტიისა და მთავრობის ამ დიდ ზრუნვას.

ნოდარ გურეშიძე

ეჰეი, რეკავს პირველი ზარი

დილას ჭიკჭიკა ხმები
დამშვენდა
და მღელვარებით ძგერენ
გულები,
გამოფენილან გზებზე
ბავშვები,
ბარტყები, ახლად
შებუმბლულები.
ირგვლივ ზეიმი დამდგარა
დიდი,
ურიამულია შინა თუ გარეთ;
დღეს თამუნია სკოლაში
მიდის
და რიდით შეხსნის ოცნების
კარებს.
ეს დღე მას მუდამ
ემახსოვრება,
დრო და მანძილი ვერასდროს
წაშლის;
ასე იწყება
დიდი ცხოვრება
პირველი ზარი, პირველად
კლასში.
ის აქ ისწავლის
მუდამ, უცვლელად, —
იყოს კეთილი, იყოს
მართალი,
მას ხელს ჩასჭიდებს, წინ
წარუძღვება
მასწავლებელი, გზის
წარმმართავი.
ის აქ ისწავლის, როგორ
უყვარდეს
დასაფიცარი მზე და მამული,
მოყვასის ლხენა რომ
გაუხარდეს,
მტერს დაატეხოს ცეცხლის
ალმური.
გადაშლილია უვრცესი
გზები,
დასაძლევია ზღუდე მრავალი,
შებუმბლულია საფრენად
ფრთები
და მზის სხივებში ჩანს
მომავალი.
გადაასწრებენ სამყაროს
ბრუნვას
ამაყ ჩიტებად,
ფრთებგაშლილებად...
გადაგიხდიან, სამშობლოვ,
ზრუნვას,
დაგეზრდებიან ერთგულ
შვილებად.
ალარ ექნება მიჯნა და
ზღვარი
მათს გაფრენას და
თავდავიწყებას...
ეჰეი, რეკავს პირველი ზარი,
ჰეი, ბავშვებო, სწავლა
იწყება!
...ირგვლივ ზეიმი დამდგარა
დიდი,
ურიამულია შინა თუ გარეთ;
დღეს ცოტნე ბიჭი სკოლაში
მიდის
და რიდით შეხსნის ოცნების
კარებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველოს უფროსი ნ. ლლონტი მოგვითხრობს სახელმძღვანელოებით რესპუბლიკის მოსწავლეთა უზრუნველყოფის შესახებ.

181 დასახელების ხუთ მილიონ ეგზემპლარამდე საერთო ტირაჟის წიგნები — ასეთია ჩვენი საუქარი მოსწავლეებისათვის ახალ სასწავლო წელს. მათ შორის არის 110 დასახელების სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის, 13 დასახელების რუსული, 8 — აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისათვის. სახელმძღვანელოები გაფორმებულია მაღალ პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე.

პირველი სექტემბრისათვის რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს ქართული ენის სახელმძღვანელოები, ხოლო მშობლიურ ენაზე — საქართველოს ისტორია, საქართველოს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფია. გამოიცა ინგლისური ენის ახალი სახელმძღვანელო მეზუთე კლასისათვის, ფრანგული ენისა — მეექვსე კლასისათვის, გერმანული ენისა — მეცხრე კლასისათვის, ხაზვის — მეშვიდე კლასისათვის.

წელს პირველკლასელები მიიღებენ „ბუნებასა და ადამიანის შრომით საქმიანობაზე დაკვირვებების დღიურს“. კიდევ უნდა დავასახელოთ ერთი სიახლე — მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებისათვის პირველად გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელო.

ახლა „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ მუშაკების ჯერია, რომლებიც მოწოდებული არიან დროულად უზრუნველყონ სკოლები სახელმძღვანელოებით.

შარშან დაიწყო მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა. წელს უფასოდ სახელმძღვანელოებით უზრუნველვყოფთ მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებს. ამ სისტემაზე გადასვლა მთლიანად დამთავრდება 1983 წელს. სკოლებში ყველგან შექმნილია სახელმძღვანელოების ფონდები, თუ მათ რიგიანად მოუარეს, ოთხი წელი მოემსახურება ბავშვებს. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ბავშვები ფაქიზად, მზრუნველად მოუვლიან წიგნებს. ამაღლდება პასუხისმგებლობა სახელმძღვანელოების იდეურ-თეორიული დონისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

„დედაენას“ კი ყოველწლიურად გამოსცემენ და სამახსოვროდ დაუტოვებენ მოსამზადებელი და პირველი კლასების მოსწავლეებს, ყველას, ვინც ამ წიგნის მეშვეობით დგამს პირველ ნაბიჯებს ცოდნის სამყაროში.

ახლახან რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან შეიქმნა ბიბლიოლექტორი, რომლის მუშაკები ბევრი კეთილი საქმის მოთავენი არიან. მან რესპუბლიკის სკოლებს გაუგზავნა 226 დასახელების მეთოდიური ლიტერატურა, დიდაქტიკური მასალები ქართულ და რუსულ ენებზე, 60-ზე მეტი დასახელების წიგნები „სასკოლო ბიბლიოთეკის სერიადან“, აგრეთვე ხელმოწერითი გამოცემა „ბავშვთა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“.

გარდა ამისა, სავაჭრო ქსელში შემოვა 620 ათასზე მეტი დღიური და 55 მილიონი ცალი რვეული.

წიგნი — მეგზური

ურ ენაზე — საქართველოს ისტორია, საქართველოს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფია. გამოიცა ინგლისური ენის ახალი სახელმძღვანელო მეზუთე კლასისათვის, ფრანგული ენისა — მეექვსე კლასისათვის, გერმანული ენისა — მეცხრე კლასისათვის, ხაზვის — მეშვიდე კლასისათვის.

წელს პირველკლასელები მიიღებენ „ბუნებასა და ადამიანის შრომით საქმიანობაზე დაკვირვებების დღიურს“. კიდევ უნდა დავასახელოთ ერთი სიახლე — მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებისათვის პირველად გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელო.

ახლა „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ მუშაკების ჯერია, რომლებიც მოწოდებული არიან დროულად უზრუნველყონ სკოლები სახელმძღვანელოებით.

შარშან დაიწყო მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა. წელს უფასოდ სახელმძღვანელოებით უზრუნველვყოფთ მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებს. ამ სისტემაზე გადასვლა მთლიანად დამთავრდება 1983 წელს. სკოლებში ყველგან შექმნილია სახელმძღვანელოების ფონდები, თუ მათ რიგიანად მოუარეს, ოთხი წელი მოემსახურება ბავშვებს. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ბავშვები ფაქიზად, მზრუნველად მოუვლიან წიგნებს. ამაღლდება პასუხისმგებლობა სახელმძღვანელოების იდეურ-თეორიული დონისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

„დედაენას“ კი ყოველწლიურად გამოსცემენ და სამახსოვროდ დაუტოვებენ მოსამზადებელი და პირველი კლასების მოსწავლეებს, ყველას, ვინც ამ წიგნის მეშვეობით დგამს პირველ ნაბიჯებს ცოდნის სამყაროში.

ახლახან რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან შეიქმნა ბიბლიოლექტორი, რომლის მუშაკები ბევრი კეთილი საქმის მოთავენი არიან. მან რესპუბლიკის სკოლებს გაუგზავნა 226 დასახელების მეთოდიური ლიტერატურა, დიდაქტიკური მასალები ქართულ და რუსულ ენებზე, 60-ზე მეტი დასახელების წიგნები „სასკოლო ბიბლიოთეკის სერიადან“, აგრეთვე ხელმოწერითი გამოცემა „ბავშვთა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“.

გარდა ამისა, სავაჭრო ქსელში შემოვა 620 ათასზე მეტი დღიური და 55 მილიონი ცალი რვეული.

როგორი იქნება სასკოლო საუზმე?

კუთრებით კარგად იმუშავეს ამ მიმართულებით გეგეჭკორის, ლენტეხის, ხაშურის, წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში.

ჩვენი რესპუბლიკის სასკოლო კვების რვა კომბინატიდან თითოეული ემსახურება ოცზე მეტ სასწავლებელს. სკოლებს უკვე გამოვუყავთ განაცხადების გადამეტებით ვიტამინიზებული რძე, მაწონი და ხაჭო, საბავშვო კონსერვები. სასადილოებსა და ბუფეტებში მესამედით გაიზრდება დოზირებული სოსისების რაოდენობა, ერთისამად — სხვადასხვა ფაფეულისა.

ამავე დროს სასკოლო კვების მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ჯეროვნად, რაც სხვადასხვა უწყების ბრალია. თბილისის რძის კომბინატმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ას-ს გრამობით დაფასოებული ყველეულისა და ორასგრამიან ქილებში ჩასხმული მაწვნის გამოშვება. უნდა მოვაგვაროთ დოზირებული სოსისების წარმოება არა მარტო თბილისსა და ქუთაისში, არამედ რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქების ხორცკომბინატებშიც. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა დაკომპლექტონ კადრებით სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასადილოები, ყველგან დანერგონ მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმა, როგორიც არის მოსწავლეთა კვება აბონემენტებით. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ცხელი კვების ორგანიზაცია ყაზბეგის, ახმეტის, ასპინძის, გარდაბნისა და წალკის რაიონების სკოლებში.

სასკოლო კვების რრგანიზაცია ერთ-ერთი ის ამოცანაა, რომელიც ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს უნდა გადაწყდეს. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრნენ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოთა უფროსები ვ. ჭყანია და ა. კვიციანი.

— ახალ სასწავლო წელს ბავშვებს გაუმასპინძლდება 44 ათასი ბავშვისათვის გათვალისწინებული 612 სასკოლო სასადილო და დაახლოებით 42 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ათასზუთხუთა ბუფეტი. ათი ათასი ბავშვისათვის გათვალისწინებული 102 სასადილო და 92 ბუფეტი პირველად გაიხსნა. კარგად არის მოფიქრებული ბავშვთა კვების საკითხები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გახსნილ რვა სკოლაში, თბილისის ოთხ, ქუთაისის სამ, ცხინვალის, თელავის და ზესტაფონის სკოლებში. თავიანთი სასადილოებით კმაყოფილი დარჩებიან თბილისის №2 სკოლის, რუსთავის №11, ზუგდიდის რაიონის კახათის, აბაშის რაიონის მარნისა და 2109-დან ბრალავი სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირი ემსახურებიან.

სასკოლო სასადილოებმა და ბუფეტებმა მიიღეს 180 ათასი მანეთის ელექტროჭურები, ქვაბები, მაცივრები და სხვა სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობა. ეს იმ თანხის ორ მესამედზე მეტია, რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში ავითვისებთ. წინა წელთან შედარებით 45 ათასით გაიზრდება ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან ცხელი კერძებით. განსაკუთრებით ყურადღებას ამ მიმართულებით გეგეჭკორის, ლენტეხის, ხაშურის, წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში.

ჩვენი რესპუბლიკის სასკოლო კვების რვა კომბინატიდან თითოეული ემსახურება ოცზე მეტ სასწავლებელს. სკოლებს უკვე გამოვუყავთ განაცხადების გადამეტებით ვიტამინიზებული რძე, მაწონი და ხაჭო, საბავშვო კონსერვები. სასადილოებსა და ბუფეტებში მესამედით გაიზრდება დოზირებული სოსისების რაოდენობა, ერთისამად — სხვადასხვა ფაფეულისა.

ამავე დროს სასკოლო კვების მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ჯეროვნად, რაც სხვადასხვა უწყების ბრალია. თბილისის რძის კომბინატმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ას-ს გრამობით დაფასოებული ყველეულისა და ორასგრამიან ქილებში ჩასხმული მაწვნის გამოშვება. უნდა მოვაგვაროთ დოზირებული სოსისების წარმოება არა მარტო თბილისსა და ქუთაისში, არამედ რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქების ხორცკომბინატებშიც. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა დაკომპლექტონ კადრებით სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასადილოები, ყველგან დანერგონ მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმა, როგორიც არის მოსწავლეთა კვება აბონემენტებით. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ცხელი კვების ორგანიზაცია ყაზბეგის, ახმეტის, ასპინძის, გარდაბნისა და წალკის რაიონების სკოლებში.

საყმაწვილო ნოგათი

✦ ✦

ირმა და ბაბუა

— ირმა გოგოვ, რას
ფუსფუსებ
და რას დაცანცალებ?
— სკოლისათვის ვემზადები
ბაბუ, გენაცვალე...
გავიზარდე მაღალი...
ფორმა — ახალთ-ახალი,
ჩანთა ახალთ-ახალი,
შემიძინა ბებომ,
ბებომ სანაქებომ...
ველარ ვნახე რვეული,
ველარ ვნახე ფანქარი...
— ჩემთან მოდი, კუდრაჭავ,
ყველაფერი აქ არის!
— ჩემო კარგო ბაბუა,
ჭაღარა და ღაბუა
პირველად შენ წამიყვან,
ხან შენ, — ხან კი ბებია,
თოჯინები მიცქერენ
სიცილით რად კვდებიან?
— უხარიათ, ბაბუა,
და ღიმილით გხვდებიან,
რისთვისაც საქმიანობ
ისინიც ხომ ხვდებიან!
დედაშ რაო, რა გითხრა?
— დედას არა სცალია,
სუფთად თუ არ ჩავიცვი
სირცხვილია ძალიან.

კუკური გოგიაშვილი.

● ●

ტატო ჰყვება სიზმარს

— ბებო,
წუხელ ძილში ვნახე
ორი ბელი, ერთი დათვი!
— მერე?
— მერე შენ მოგიხმე,
მათთვის პური გამოგართვი!
— მერე?
— მერე დათვი დაფრთხა,
უცებ ტყეში შერგო თავი.
— მერე?
— მერე რას კითხულობ,
თვითონ იქვე არ იყავი?!

დაშინებული მელა

მელაკუდა სხვაგან მიდის
საუბაროდ, საბრაგოდ.
თავის ლეკვებს ეუბნება:
მაცათ, ბარგი ჩავალაგო!
ბინადარე გახდა კახა,
თოფიცა აქვს, კარგად ვიცი,
ჩემი საქმე არის გლახად,
სროს თუ არ გამოვიცვლი!

ზოთა აკოგია.

● ●

დამემალა მთვარე

ეთვალე, ეთვალე
ვარსკვლავები
და ვერ დავითვალე,
მერე სადღაც დამეკარგა
ვებერთელა მთვარე.
ნეტავ, მთვარე ცის კიდელში
ხომ არ ჩაიკეტა?
ან ღრუბლები ცხენებივით,
საღ მიჰქრიან ნეტავ?

ყანაში

ვაჟამ ურმის კოფოზე
რეზო დასვა ამ დილით
და ბაბუას ყანაში
მიუტანეს სადილი.
რა იცოდა ბაბუამ,
რომ ახალი თოხითა
ბალახებს მაგიერ
რეზო სიმინდს მოთხრიდა.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე.

● ●

მეცხვარე

ნეტავ, რა არის მიხთანა,
ამწკანებული მთისთანა.
ცხვრის ფარა ფარას
მიჰყვება,
მიმოფანტული ათასად,
კრავები მკუნტრუშობენ,
ირგებენ მიწის ღალასა.
სერზე მეცხვარე თოფით
დგას,
მგელს დროზე ულებს
მიზანსა,
ერთ კოჭლ ბატკანსაც არ
კარგავს,
არცა თეკანსა თხისასა.
ნეტავ, რა არის მისთანა,
მამაცი მეცხვარისთანა.

მეზობელი

ესო, მესო, ესო, მესო,
ვენაცვალე მეზობელსო:
ერთადა ვართ ჭირშიც,
ლხინშიც
და არაფრის არ გვაქვს შიში.

ობობა და კალია

— კალიავ, რად არ გაცვია,
მე რომ მოგაყიდე შარვალი?
— უკვე გაცვდა და დაიხა,
როგორც დაიხა მრავალი,
დალამებამდეც ვერა ძლებს
შენი ნაქსოვი შარვალი.

ნოდარ შამანაძე.



ᲘᲡᲛᲘᲜᲔ, ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲫᲔᲑᲜᲔᲚᲝ!

ა. საკაკოვის ფოტო.

ᲥᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ...

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ახალი თეატრალური სეზონი. რესპუბლიკის თეატრები სულ მალე ფართოდ გაუღებენ კარს თავიანთ თაყვანისმცემლებს. ჩვენც რეგულარულად მოგაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა სიახლეა ამა თუ იმ თეატრში, როგორია მათი 1979-80 წლის რეპერტუარი, მოგითხრობთ დედაქალაქის თეატრების სადღეისო და სახვალიო გეგმებზე.

თბილისის ა. გრიბოედოვის სახელმწიფო რუსული დრამის სახელმწიფო თეატრი დღეს, 1 სექტემბერს გახსნის ფარდას. ამის გამო „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ პაპიტაშვილი:

— ჩვენი თეატრი ამ ზაფხულს, 14 ივნისიდან 8 ივლისამდე საგასტროლოდ იყო ლენინგრადში. იქ, დიდი დრამატული თეატრის შენობაში ლენინგრადელებს წარვუდგინეთ ჩვენი რამდენიმე ნაწარმოები. უნდა ითქვას, რომ დიდი იყო ინტერესი გრიბოედოველთა ხელოვნების მიმართ. ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლების რეჟისორულ და აქტიორულ დონეს.

ჩვენთან ახალი სეზონის დასაწყისშივე სიახლეა — მოსკოვში სამუშაოდ გადავიდა თეატრის მთავარი რეჟისორი ა. ტოვსტონოგოვი და იგი შეცვალა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ყორდანიამ. ახალი მთავარი რეჟისორი ამჟამად ახალ რეპერტუარზე მუშაობს, რომელსაც სულ მალე დავამტკიცებთ. ამიტომ რეპერტუარზე ჯერჯერობით ვერაფერს გაცნობებთ, ოღონდ გიტყვით, რომ გვაქვს რამდენიმე საინტერესო პიესა.

დღეს მაყურებელს ვუჩვენებთ შარშანდელი სეზონის ბოლო პრემიერას — შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარს". შემდეგ კი, ბუნებრივია, თეატრის მოყვარულნი ბოლო წლების საუკეთესო დადგმებსაც ნახავენ.

ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲜ

● მთავარი შემაერთებელი არტერია ● კრეატიული სიჩქარით ● მშენებელთა დიდი შრომითი შემართება ● გვირაბმშენებლებს მეტი დახმარება სჭირდებათ

რიკოთის უღელტეხილის ეგზოტიკური სილამაზით მიღოლონთბით ადამიანი დამტკბარა, დიდხანს ჩარჩენილთ გულში ბუნების წალკოტის მომხიბლელობა, ციცაბო ალმართ-დაღმართი და თავბრუდამხვევი მოკლე მისახვევ-მოსახვევები.

ნატახტარ-სამტრედიის ტრასის ამ მონაკვეთს დიდი ეკონომიური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი მთავარი არტერიაა, რომლითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები ქვეყნის ცენტრალურ ევროპულ ნაწილს კავკასიის მთავარი მთების შემოვლით უკავშირდებიან.

მოძრაობის ინტენსიურობამ და გზის რთულმა პროფილმა დღის წესრიგში ტრასის ამ მონაკვეთის რეკონსტრუქციის საკითხი დააყენა. რამდენიმე წელია, რაც რიკოთ-ზესტაფონს გადასარბენზე გაჩნდა სპეციალური დაფები, რომლებზეც წარწერილია: „მიმდინარეობს გზის რეკონსტრუქციის სამუშაოები, მშენებლები ბოდიშს უხდიან მგზავრებს..."

აუცილებლობით გამოწვეული შეფერხებები მართლაც იყო. მარჯვენა უნდა შეეუქთო ამ საშვილიშვილო საქმის მოთავეებს. ქარსა და ყინვაში, წვიმასა თუ თოვლში, დილიდან დაღამებამდე, ზოგჯერ მთელი ღამის განმავლობაშიც მუხლამდე ტალახში ჩამდგარნი ებრძოდნენ აფეთქებით მოზვავებული მთის ფერდობიდან წამოსულ ვეებერთელა ლოდებს, ჩამონადენი წყლებისაგან ღამად ქცეულ მიწის ზვავებს.

— ახლა მთავარი სიძნელეები დაძლეულია, — თქვა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო სამშენებლო ტრესტის მმართველმა ტ. კიკაჩეიშვილმა, — 58-კილომეტრიან ტრასაზე შესრულებულია კოლოსალური მასშტაბის სამუშაოები. მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონდეს გზის მშენებელთა შემართებაზე, ზოგიერთ დამახასიათებელ ციფრს დავასახელებთ. 1976 წლის დამლევიდან დღემდე მწყობრში ჩადგა 24 ხიდი, რომელთა საერთო სიგრძეა 1.425 მეტრი, ჩადებულია დიდი დიამეტრის ბეტონის მილები 3.941 გრძივ მეტრზე. ჩასხმულია საყრდენ კედლებში 156.800 კუბური მეტრი ბეტონი, იგი გაჰყვება გზას 10,6 კილომეტრზე. შესრულებულია 4.300 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. ყოველივე ეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით საგზაო სამინისტროს ქუთაისის № 2 სარემონტო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო-სარემონტო ტრესტებს, 45.300 ათასი მანეთი დაჯდა.

მართალია, მთავარი სიძნელეები დაძლეულია, მაგრამ გზის ამ მონაკვეთზე ტრანსპორტი კრეისერული სიჩქარით ჯერ მაინც ვერ მოძრაობს. თბილისელ მშენებლებს კვლავ დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ შესასრულებელი სოფელ ხუნევის მიდამოებში 137-141 კილომეტრის მონაკვეთში. მძლავრი სამთო ტექნიკა ასწორებს საქმიან მღალ გორებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მკვეთრი მოსახვევები, უზრუნველყონ მძღოლთა მხედველობის არის გაზრდა.

საველედ დაბანაკებულ მშენებელთა მორის უკეთესს გამორჩევა უჭირთ სამშენებლო სამმართველოთა უფროსებს გ. ტატფანაძეს, ტ. ქათამაძეს, ვ. სახიაშვილს, ზ. თოფურიას. მათ თუ ვერწმუნებით, მექანიზატორთა მთელი სია უნდა გამოვაქვეყნოთ. ეს შეუძლებელია და ამიტომ თვით სამინისტროში, ტრესტში და უშუალოდ ობიექტებზე გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა სტენდები მოვიშველიეთ. აი ერთ-ერთი მათგანი — ხიდების მემონტაჟეთა ბრიგადირი შ. გიგაური. იგი 30 წელია ამ საპატიო საქმეს ემსახურება და ახალგაზრდობის ნამდვილი აღმზრდელია. შეუძლებელია საქებარი სტრიქონები არ მიუძღვნა შრომის წითელი დროშის ორდენოსანს, ბულდოზერისტ ვ. კორკოტაძეს, გრეიდერის მემანქანეს ო. შუბითიძეს, მესამე ხარისხის დიდების ორდენით მკერდდამშვენებულ ბულდოზერისტს გ. გელაშვილს.





დიდი შრომითი შემართებაა შროშა-ძირულის გზის მონაკვეთზე. გულგრილად ვერ აუვლი გვერდს ქუთაისელ მშენებელთა საქმიანობას. სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი, მთასა და ბარს ასწორებენო. 10-15 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედლები ისე ლამაზად და კარგად ამოჭიკავთ, რომ გაოცდებით.

სამადლობელ სიტყვებს რა დაღლეს ამ გრანდიოზული ობიექტის მშენებლებზე. მათი დაბარება, რომ წლის ბოლომდე დამთავრდება რთული პროფილის სარეკონსტრუქციო გზის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, ეჭვს ალარ იწვევს.

საუღელტეხილო გზის რეკონსტრუქცია საშვილიშვილო, ეროვნული საქმეა და ამიტომ მას უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს.

Მ. ᲜᲘᲥᲐᲒᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: „თბილისგვირაბშენის" მოწინავე ბრიგადის წევრები (მარჯვნიდან) ილია გუნგაძე, ლავრენტ ტაბატაძე, ბრიგადირი ხერგი ხარაიშვილი, თენგიზ გელაშვილი, ვახტანგ ტაბატაძე, გუგული ტეფნაძე და აკაკი კიპაროიძე; გზის მონაკვეთი.

გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ 12 ᲗᲕᲔ

ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ შემოდგომის პირველი თვეა. მისი სახელწოდებაც რომაულიდან მოდის და მეშვიდეს ნიშნავს. (როგორც ვიცით, ძველ რომში ახალი წელი მარტით იწყებოდა). როცა ახალი წელი იანვრით დაიწყო, სექტემბერი მეცხრე თვედ იქცა, მაგრამ ძველი სახელი — „მეშვიდე" ისევ შერჩა.

ძველად საქართველოში კი ახალი წელი სწორედ 1 სექტემბერს იწყებოდა, რის გამოც ამ თვეს ძველქართულად „თთუი ახალ წლისაი" ერქვა. ამ თვის ხალხური სახელწოდებაა ენკენისთვე. ამ დროს იღებენ სიმინდს, იწყება რთველი. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ენკენისთვე მობრძანდები,
მაშინ არის კალო—რთველი,
სიმინდები მოიჭრება,
ხილი მოაქვს მეტად ბეგრი...

სექტემბერში არაერთი ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება: ნათვობისა და ვაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღე, ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე, ტანკისტის, ტყის მუშაკის, მანქანათმშენებლის დღეები და სხვ.

Ლ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲛ ᲤᲔᲮᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲐ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ჩვენი ჩვეულის სხვადასხვა კუთხეში დიდად განსხვავებული ამინდი გვაქვს. ჩრდილოეთით, ტუნდრაში სექტემბერში უკვე მდგრადი თოვლის საფარი ჩნდება, საქართველოში კი ამ დროს ოქროს შემოდგომა იწყება, ბაღებში მწიფეს ვაშლი, ყურძენი და სხვა ხილი.

სექტემბერში დღის ხანგრძლივობის თანდათან დაკლების გამო მცირდება მზის რადიაცია, რის გამო ტემპერატურაც იკლებს, საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა აგვისტოსთან შედარებით 3-5 გრადუსით დაბალია, დაბლობ რაიონებში იგი 15-21, მთის რაიონებში 13-18, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 9-13 გრადუსს ფარგლებში მერყეობს. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ცალკეულ წლებში 32-37 გრადუსს აღწევს, დასავლეთ საქართველოში ზოგან 41 გრადუსიც იყო. მაგალითად, 1941 წლის 14 სექტემბერს საქარაში მაქსიმუმი 41,2 გრადუსს აღწევდა. ცალკეულ წლებში ჰაერის ცივი მასების ძლიერი შემოჭრის დროს აბსოლუტური მინიმუმი მნიშვნელოვნად იკლებს,

სექტემბერი ჩვენს რესპუბლიკაში აღორბის დროა, ამიტომ სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი იქნება ამინდი.

წლევანდელი სექტემბერი ჩვეულებრივზე თბილია მოსალოდნელი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში უმეტესად იქნება ღამით 15-20, დღისით 24-29, ცალკეულ დღეებში 30-34, ზოგან 35-36 გრადუსი. თვის ბოლოს ტემპერატურა დაიკლებს ღამით 8-13 (ქართლის დასავლეთ რაიონებში ზოგან 5 გრადუსამდე), დღისით 17-22 გრადუსამდე. მთის რაიონებში ტემპერატურა იქნება ღამით 10-14, დღისით 22-27 გრადუსამდე. თვის ბოლოს კი აქაც დაიკლებს და იქნება ღამით 4-9, დღისით 15-20, ზოგან 12-17 გრადუსი.

ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად მოსალოდნელია მეორე და მესამე დეკადის შუა ნაწილში, თვის დანარჩენ დროს კი იწვიმებს ძირითადად ცალკეულ დღეებში.

ნალექების რაოდენობა ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე იქნება ნორმასთან ახლოს, ზოგ რაიონში — ნორმაზე ნაკლები.

Გ. ᲝᲥᲠᲝᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსის მოადგილე.

ᲤᲠᲔ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საყოველთაო ჩემპიონატის ოცდამეათე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ" იაროსლავლში ითამაშა ადგილობრივ „შინიკთან". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲬᲕᲘᲔᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ Ა ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲠᲘᲨᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ, 12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ნაკრებში 28 ფეხბურთელია გაწვეული. აი ისინიც: მეკარეები — დასაევი („სპარტაკი"), გონტარი და პილგული (ორივე — მოსკოვის "დინამო"); მცველები — ნოვიკოვი, ნიკულინი, ბუბნოვი, მახოვიკოვი (ოთხივე — მოსკოვის „დინამო"), ბუკიეესკი, მირზოიანი, ხიდიატულინი, ხამოხინი (ოთხივე — „სპარტაკი"), შავეიკო (მინსკის „დინამო"); ნახევარმცველები — ბესონოვი, ბერეეზნოი, ვერემეევი, ბურიაკი (ოთხივე — კიევის „დინამო"), ჩერენკოვი, შავლო (ორივე — „სპარტაკი"), დარასელია (თბილისის „დინამო"), მაქსიმენკოვი (მოსკოვის „დინამო"); თავდამსხმელები — გავრილოვი, სიდოროვი, გეხი, იარცევი (ოთხივე — „სპარტაკი"), იურჩენინი (ლვოვის „კარპატი"), შენგელია, ყიფიანი (ორივე — თბილისის „დინამო") და ბლოხინი (კიევის „დინამო").

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲕᲔᲚᲝᲠᲒᲝᲚᲐ. ამსტერდამის ოლიმპიურ ველოტრეკზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებულ ორ სახეობაში თვეი ისახელეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ნ. მაკაროვი ოქროს მედალს დაეუფლა 4 კილომეტრზე „ამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში (4.49,54), ხოლო გ. ცარიოვამ ყველას აჯობა 1 კილომეტრზე სპორინტერულ რბოლაში.

რედაქტორის მოადგილე
Გ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 17.00—მულტიპლიკაციური ფილმები, 18.45 — „ვესტნიკი"—საინფორმაციო პროგრამა, 19.15 —ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო შეხვედრა თბილისში, 19.40 — მუსიკალური შესვენება, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პრგრამა. (ფ.), 20.30 — „ვერნისაჟი", 21.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალავერდი", 21.40 — დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის თბილი ქვები", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საესტრადო პანორამა.

მეორე პროგრამით: 18.55 — მუსიკალური შეხვედრები. (ფ.).

4 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (VI სერია), 17.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რთული გზა", 17.35 — მუსიკალური ფილმების პროგრამა, 18.35 — ვმართოთო ხარისხი, 18.55 — „გამარჯობა, სექტემბერო!", 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — აკადემიკოსი ალექსანდრე ფრანგიშვილი, 21.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი პეკინის პოლიტიკის შესახებ — „ომის გამბიდველები ჩინეთიდან" (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საესტრადო პანორამა.

მეორე პროგრამით: 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგვითხრობს დანიელ გრანინი" (I და II ნაწილი).

5 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00—„ვრემია"—საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 —საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (VII სერია), 17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი" — მხატვრული ფილმი „არც ერთი დღე თავგადასავლების გარეშე", 19.10 — „მეცნიერის გახსენება" — გიგი კილურაძე, 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირის ნაკრები და გდრ-ის ნაკრები. (ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ფრაგმენტები პუჭინის ოპერიდან „ბოჰემა".

მეორე პროგრამით: 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — მხატვრული ფილმი — „ჟამი სიცოცხლისა, ჟამი სიყვარულისა".

6 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.30 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.00 — ჩვენი სოფელი, 18.45 — კონცერტი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „უფინიშო რბოლა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით: 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.05 — მუსიკალური ფოსტა.

7 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.35 — სამუსიკო სასწავლებლის 60 წელი, 18.05 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი, 19.00 — მუსიკალური შესვენება, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ქართული ფილმი" — „საიუბილეო კინოჩვენება" — მხატვრული ფილმი „ელისო", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სოპოტის საესტრადო სიმღერის ფესტივალის ლაურეატთა კონცერტი (მ.).

მეორე პროგრამით: 18.05 — საესტრადო კონცერტი, 18.45 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „ბედნიერ მეზურნეები".

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.55 — „თქვენთვის, მშობლებო! (მ.), 11.25 — ქართული საგელევიზიო ფილმი „მინდვრის ყვავილი", 11.55 — ქილის ფოსტა — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.25 — „ქართული ფილმი" საიუბილეო კინოჩვენება — მხატვრული ფილმი — „მაგდანას ლურჯა", 13.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.00 — თბილისი და თბილისელები — საგელევიზიო ჟურნალი, 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 16.45 — ჩვენი ლაშქარი — „მასწავლებელი", 17.20 — დოკუმენტური ფილმი „ახალი ვარსკვლავეთი" (ქართულ ენაზე), 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — ცხოველთა სამყაროში (მ.), 19.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — ბულგარეთის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ბალეტი პოუზნის სადამო თიანეთში.

მეორე პროგრამით: 15.50 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 16.30 — ეკრანზეა კინოკომედია — „ჰუსარული ბალადა".

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 11.30 — „სტუმრად ზღაპართან" — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „მხიარული სიზმარი ანუ სიცილი და ცრემლები" (მ.), 13.20 — „პირველი ზარის წინ", 14.00 — კინოგაზეთი, 14.30 — მუსიკალური კინოსკი (მ.), 15.00 — „ხუთწლეული — წელი მეოთხე, 15.35 — კინოს მოყვარულთათვის, 16.50 — „ჯანმრთელობა" — საგელევიზიო პროგრამა, 17.30 — ნ. ლორთქიფანიძე — „სოფლის აშიკი" საქართველოს გელევიზიის დადგმა, 18.20 — გაკუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს, 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.), 19.45 — „დღეს განკისტების დღეა" — სტუდიაში სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. პავლოვსკი (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კონცერტი, 21.00 — კინოგზაურობის კლუბი (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სიყვარული არ იქნება ძალადა".

მეორე პროგრამით: 15.50 — მუსიკალური ფილმი, 16.30 — მხატვრული ფილმი — „უფინიშო რბოლა".

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 სექტემბერი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.45 — თქვენთვის, მშობლებო! (მ.), 11.15 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე". III სერია (მ.), 12.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა" (მ.), 13.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.00 — სანაღვლო განათლების ახალი კერა — „აფხაზეთის უნივერსიტეტი", 14.30 — „ჯანმრთელობა" სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.15 — „ნვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა". სტუდიაში — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი ს. ორუჯევი (მ.), 15.30 — გამარჯობა, სექტემბერო!, 16.15 — მწვრის გორის ვაჟთა გუნდი (ფ.), 16.45 — კინონარკვევი, 17.15 — გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას — კონცერტი, 18.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) მოსკოვიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი, 19.45 — ისმინე, სწავლის მძებნელო!, 20.45 — სახალხო მთქმელი, 20.55 — მუსიკალური ანგარაქი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

16.05 — საგელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი". V სერია, 17.20 — დოკუმენტური ფილმი, 17.30 — საესტრადო პანორამა. (ფ.).

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ

1 სექტემბერი

მეგვების პლაგო — ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (დასაწყისი 8 ს. და 30 წ.).



ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲑᲐᲖᲠᲝᲒᲔᲑᲖᲔ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ განაგრძობს კოოპერაციული ბაზრობები ქსანში (მცხეთის რაიონი) სოფლების ციხისძირისა და მუხრანის ავტოსტრადის ჯადასახვევთან და სოფელ ქვიტირთან (წყალტუბოს რაიონი) ჭუთაის-სამტრედიის გზატკეცილზე.

საშემოდგომო-საზამთრო სამრეწველო საქონლის განსაკუთრებით მდიდარ ასორტიმენტს შემოგთავაზებენ სექტემბრის პირველ შაბათსა და კვირას ცეკავშირის სისტემის საცალო — კონცერტი, 18.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) მოსკოვიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი, 19.45 — ისმინე, სწავლის მძებნელო!, 20.45 — სახალხო მთქმელი, 20.55 — მუსიკალური ანგარაქი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

16.05 — საგელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი". V სერია, 17.20 — დოკუმენტური ფილმი, 17.30 — საესტრადო პანორამა. (ფ.).


1
ᲡᲢᲐᲓᲘᲝ